კონკურსი მოძრავი ქონების დაზღვევის შესასყიდად

FSM-2025-03-01

სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში ეძებს სადაზღვევო კომპანიას, რომელიც გაგვიწევს მოძრავი ქონების დაზღვევის მომსახურებას პროექტის "REDI" ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების მხარდასაჭერად.

სოფლის გაძლიერება ციფრული ჩართულობის გზით (REDI) არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელსაც ,,სოლიდარობის ფონდი პლ საქართველოში" (SFPL in GEO) 2023 წლის 1-ლი დეკემბრიდან ახორციელებს ესტონელ პარტნიორთან - ,,e-Governance Academy"-თან " (eGA) ერთად. REDI მიზნად ისახავს საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს შორის ციფრული უთანასწორობის შემცირებას კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ციფრული წიგნიერების განვითარების გზით. პროექტის ფარგლებში, საქართველოს 200-მდე სოფელში საჯარო სივრცეებში განთავსდება ინტერნეტთან წვდომის წერტილები და შეიქმნება ციფრული სასოფლო ჰაბები.

მოთხოვნილი სერვისი:

Wi-Fi წვდომის წერტილებისა და ციფრული სასოფლო ჰაბების განსათავსებლად საჭირო აღჭურვილობის (სატელეკომუნიკაციო ტექნიკა/მოწყობილობები, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ.), შემდგომში"**მოძრავი ქონება"** დაზღვევა.

თითოეულმა აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინოს <u>ერთი</u> სადაზღვევო პაკეტი, რომელიც უნდა მოიცავდეს მოძრავი ქონების დაზღვევის მომგებიან პირობებს როგორც ქონების განთავსების ადგილზე, ასევე ტრანსპორტირებისას, რათა ქონება დაცული იყოს პოტენციური რისკებისგან.

მოძრავი ქონების სიის ჩამოსატვირთად დააჭირეთ <u>**აქ.**</u>

**მოძრავი ქონების სია თანდართულია და შემდგომ პერიოდულად განახლდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში.*

1. **დავალების შესრულების ადგილ(ებ)ი:**

ხელშემკვრელი ორგანოს მიერ მითითებულ ლოკაციაზე (თბილისი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი და შესაძლოა, კახეთი), ასევე, აღნიშნული მიმართულებებით ტრანსპორტირებისას. მოძრავი ქონება განთავსდება როგორ ღია, ისე დახრულ სივრცეებში (შენობებში).

2. **დავალების ხანგრძლივობა:**

ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვე, გაგრძელების შესაძლებლობით, მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების დაცვით.

3. **გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები:**

3.1 სადაზღვევო პაკეტი უნდა მოიცავდეს შემდეგი ხუთი კრიტიკული რისკის დაზღვევას, როგორიცაა: 1) ხანძარი; 2) ქურდობა, ყაჩაღობა, განზრახ დაზიანება; 3) სატრანსპორტო

საშუალების შეჯახება ტრანსპორტირების დროს; 4) უამინდობის (წვიმა, დიდთოვლობა, ძლიერი ქარი, სეტყვა, მეხის დაცემა და მიწისძვრა) შედეგად გამოწვეული ზიანი; 5) ელექტრომომარაგების უეცარი ან მოულოდნელი ავარია/მწყობრიდან გამოსვლა.

3.2 დაზღვეული მოძრავი ქონების სიის ცვლილების შესაძლებლობა ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე.

3.3 მოთხოვნილი სადაზღვევო მომსახურების გაწევა ყველა მოთხოვნილ ლოკაციაზე და ყველა მოთხოვნილ მდგომარეობაში.

3.4 საქართველოს ბაზარზე სადაზღვევო სფეროში საქმიანობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება. გამოცდილების დასადასტურებლად, გთხოვთ, წარმოადგინოთ პორტფოლიო ან ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

3. 5 საკონტაქტო პირის გამოყოფის შესაძლებლობა, რომელიც თავისუფლად ფლობს ინგლისურ და ქართულ ენებს.

შემოთავაზებები, რომლებიც არ დააკმაყოფილებენ მინიმალურ მოთხოვნებს, ფორმალურად გამოეთიშებიან კონკურსს.

4. შეფასების კრიტერიუმები ყველაზე საუკეთესო წინადადების შესარჩევად (მაქს. 110 ქულა):

4.1 მომგებიანი სადაზღვევო პირობები (მაქს. 60 ქულა)

აპლიკაციები შეფასდება შემოთავაზებული სადაზღვევო პაკეტის პირობების მიხედვით. შეფასება განხორციელდება შემდეგი სქემის საფუძველზე:

- **დაზღვეული რისკების დაფარვა (30 ქულა):** შეფასება მოხდება პაკეტით შემოთავაზებული დაზღვეული რისკების რაოდენობისა და მრავალფეროვნების მიხედვით, მათ შორის სავალდებულოდ მოთხოვნილი 5 რისკის გათვალისწინებით:
    - პაკეტი ფარავს 5 მოთხოვნილი რისკიდან ყველას და დამატებით 6-7 რისკს – 30 ქულა
    - პაკეტი ფარავს 5 მოთხოვნილი რისკიდან ყველას და დამატებით 4-5 რისკს– 20 ქულა
    - პაკეტი ფარავს 5 მოთხოვნილი რისკიდან ყველას და დამატებით 1-3 რისკს – 10 ქულა

- **მომსახურების ხარისხის განმსაზღვრელი სახელშეკრულებო პირობების საუკეთესო ვარიანტები (30 ქულა).** შეფასება განხორციელდება შემოთავაზებული ხარისხის განმსაზღვრელი სახელშეკრულებო პირობების დეტალური აღწერისა და წარმოდგენილი საუკეთესო ვარიანტების საფუძველზე, რომლებიც მოიცავს შემდეგ ელემენტებს:
    - ზარალის დასაფიქსირებლად/რეგისტრაციისთვის შემოთავაზებული ყველაზე მოკლე ვადა – 10 ქულა;
    - ზარალის ანაზღაურების ყველაზე მოკლე პერიოდი – 10 ქულა;
    - ყველაზე დაბალი ფრანშიზა – 10 ქულა.

4.2 მომხმარებელთა მხარდაჭერის სერვისების მრავალფეროვნება (მაქს. 20 ქულა)

შეთავაზებები შეფასდება წარმოდგენილი მომხმარებელთა მხარდაჭერის ფიზიკური, სატელეფონო და ონლაინ სერვისების მრავალფეროვნების საფუძველზე.

- **ფიზიკური მხარდაჭერის სერვისები (მაქს. 6 ქულა)**
    - პერსონალური მენეჯერის მომსახურება და ფიზიკური მომსახურების პუნქტ(ებ)ი– 6 ქულა
    - მხოლოდ პერსონალური მენეჯერის მომსახურება – 4 ქულა
    - მხოლოდ ფიზიკური მომსახურების პუნქტები - 2 ქულა
    - ფიზიკური მომსახურების არ ქონა – 0 ქულა

- **სატელეფონო მხარდაჭერის სერვისები (მაქს. 6 ქულა)**
    - 24 საათიანი ცხელი ხაზი + საკონტაქტო ტელეფონის ნომერი გადაუდებელი შემთხვევებისთვის — 6 ქულა
    - 24 საათიანი ცხელი ხაზი — 4 ქულა
    - ცხელი ხაზის ხელმისაწვდომობა დღეში მინიმუმ 12 საათი — 2 ქულა
    - ცხელი ხაზის ხელმისაწვდომობა 12 საათზე ნაკლები დროით — 0 ქულა

- **ონლაინ მხარდაჭერის სერვისები (მაქს. 8 ქულა)**
    - სრული პაკეტი (ლაივ ჩატი + ელ. ფოსტით კომუნიკაცია + მობილური აპლიკაცია + პორტალი) — 8 ქულა
    - 4-დან 3 სერვისის ხელმისაწვდომობა — 5 ქულა
    - 4-დან 2 სერვისის ხელმისაწვდომობა — 3 ქულა
    - 1 ან ნაკლები ონლაინ სერვისი — 0 ქულა

4.3 სადაზღვევო მომსახურების ღირებულება (მაქს. 30 ქულა)

„სადაზღვევო მომსახურების ღირებულების“ კრიტერიუმით შეფასება დაეფუძნება შემდეგ ფორმულას:

P= Pmin/Pof x 30 ქულა

სადაც:

Pmin - ყველაზე დაბალი შემოთავაზებული ფასი

Pof – ფასი წარმოდგენილია შემოწმებულ შეთავაზებაში

P – ფასის კრიტერიუმით შემოწმებულ შეთავაზებაზე მინიჭებული ქულების რაოდენობა, დამრგვალებული სრულ რიცხვამდე.

5. ხელშემკვრელ ორგანოსა და კონტრაქტორს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, გამარჯვებულ აპლიკანტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

6. მოთხოვნილი დოკუმენტაცია

6.1 ფისკალური განაცხადი შევსებული ქართულ და ინგლისურ ენებზე ხელმოწერილი და დასკანერებული PDF ფორმატში. ჩამოსატვირთად დააჭირეთ **აქ.**

6.2 აპლიკაციის ფორმა შევსებული ქართულ ან ინგლისურ ენაზე ხელმოწერილი და დასკანერებული PDF ფორმატში. ჩამოსატვირთად დააჭირეთ **აქ.**

7. განაცხადის შეტანა

განაცხადი ტენდერში მონაწილეობაზე წარმოდგენილი უნდა იქნას მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილად გამოგზავნის გზით, არაუგვიანეს 2025 წლის 24 აპრილისა, თბილისის დროით 23:59 საათამდე, შემდეგ მისამართზე: redi@solidarityfund.pl

კითხვები ტენდერთან დაკავშირებით შეგიძლიათ მოგვწეროთ მისამართზე redi@solidarityfund.pl საბოლოო ვადის გასვლამდე.

8. ხელშემკვრელი ორგანო არ მიიღებს ტენდერის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილ სატენდერო დოკუმენტაციას/კითხვას.

9. პროცედურის შედეგის შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება განმცხადებლის მიერ მითითებულ ელ. ფოსტაზე და გამოქვეყნდება Solidarity Fund PL_GEO Facebook გვერდსა https://www.facebook.com/solidarityfund.ge და https://participatoryhub.ge/ -ზე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ განაცხადის შეტანით თქვენ თანახმა ხართ გაუზიაროთ განაცხადის შინაარსი სხვა განმცხადებლებს, (გარდა პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც ანონიმური იქნება) რომლებსაც შეუძლიათ შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნა SFPL -ში.

10. შერჩეულ კონტრაქტორთან/კონტრაქტორებთან გაფორმდება ხელშეკრულება.

11.კონტრაქტორ(ებ)ს, რომლის ტენდერიც ჩაითვლება ყველაზე უპირატესად, იქნება ინფორმირებული ხელშემკვრელ ორგანოს მიერ ხელშეკრულების გაფორმების ადგილისა და თარიღის შესახებ.

12. ხელშეკრულების გაფორმებამდე კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა საჭირო ინფორმაცია ხელშეკრულების შინაარსის შესავსებად, ხელშემკვრელ ორგანოს მოთხოვნით.

13. თუ ეკონომიკური ოპერატორ(ებ)ი, რომლის სატენდერო წინადადება ჩაითვალა ყველაზე უპირატესად, თავს აარიდებს ხელშეკრულების დადებას, ხელშემკვრელ ორგანოს შეუძლია ხელახლა განიხილოს და შეაფასოს ტენდერის შედეგი დარჩენილი ეკონომიკური ოპერატორების შემოთავაზებებიდან ან გააუქმოს პროცედურა.

14. ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენელმა პირებმა ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა წარმოადგინონ ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები, თუ ასეთი ავტორიზაცია არ დასტურდება ტენდერის თანდართული დოკუმენტებიდან.

15. სოლიდარობის ფონდი პლ უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს, სამართლიან და კანონიერ მოპყრობას დასაქმების პროცესში რასის, ფერის, რელიგიის, სქესის, ეროვნული

წარმომავლობის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, პოლიტიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დაცული გენეტიკური ინფორმაციის ან სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

16. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარდგენილ განცხადებაში მოცემული პერსონალური მონაცემების ადმინისტრატორია სოლიდარობის ფონდი PL, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ვარშავაში, ქუჩა Mysłowicka 4, 01-612 ვარშავა. მონაცემები დამუშავდება მე-6 მუხლის 1 გ პუნქტის საფუძველზე პერსონალური მონაცემების დაცვის პოლონეთის კანონის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურასთან დაკავშირებული მიზნებისათვის. თქვენ გაქვთ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება, პერსონალური მონაცემების გასწორების უფლება და უფლება მოსთხოვოთ ადმინისტრატორს პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, რომელიც ექვემდებარება კანონის 18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს. თქვენ გაქვთ უფლება, საჩივრით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფისის პრეზიდენტს. მონაცემთა მაკონტროლებელი არის სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში, ჭავჭავაძის გამზირი 20, ბინა #3, სართული 2, 0179 თბილისი, საქართველო. თქვენი უფლებებით სარგებლობისათვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ SFPL-ს საქართველოში პირდაპირ მისამართზე georgiarep@solidarityfund.pl – ჩვენ მზად ვართ დავიცვათ თქვენი უფლებები ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში.